

სამართლის სკოლა

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

მიმართულება: სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი (სემესტრი მოიცავს 20 (15+5) სასწავლო კვირას)

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: (მინიმუმ) 240 ECTS კრედიტი

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება: წინამდებარე პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სხვა სკოლის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა შიდა/გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სდასუს სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ სადრაძე

საბაკალავრო პროგრამის მიზანი

”სამართალმცოდნეობის” საბაკალავრო პროგრამის მიზანია, შიდა და საგარეო საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება სამართლის მიმართულების ფართო თეორიული ცოდნა, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგად სამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური,

საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ; სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება საჯარო, კერძო, სისხლის და/ან საერთაშორისო სამართლის დარგებში.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

”სამართალმცოდნეობის” საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე იურისტის რეგულირებადი პროფესიისათვის და სამართლის მიმართულებით ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საბაკალავრო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა იურისტის რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას. სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული, სხვადასხვა კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, სამართლის მიმართულების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების (ინგლისური ენა), არაიურიდიული სავალდებულო სასწავლო კურსების (აკადემიური წერა; ინფორმატიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები), თავისუფალი სასწავლო კურსებისა და სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომის ხარჯზე.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და სამართლის ბაკალავრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სამართლის ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი ცოდნის (სამართლის მიმართულება) და დამხმარე ცოდნის (ზოგადინტელექტუალური, კომუნიკაციური კომპეტენციები) განმსაზღვრელი სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს სამართლის ბაკალავრის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გამომუშავებისათვის საჭირო სამართლის მიმართულების სავალდებულო და არჩევითი – სპეციალიზაციის (კერძო–, სისხლის–, საჯარო–, საერთაშორისოსამართლებრივი ან სამართალმცოდნეობის) სასწავლო კურსები, ასევე სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი. დამხმარე ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის პრაქტიკული საქმიანობის ხელშემწყობი სავალდებულო სასწავლო კურსები – ინგლისური ენა I-IV, არაიურიდიული სავალდებულო სასწავლო კურსები - აკადემიური წერა და ინფორმატიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები და თავისუფალი სასწავლო კურსები. სხვადასხვა სასწავლო კურსების (სპეციალიზაციის თუ თავისუფალი) არჩევით (კონცენტრაციით) სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური პროფილის ფორმირება.

საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევასა და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა, მათი ევოლუცია განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და აისახება სასწავლო გეგმაში.

სავალდებულო კომპონენტები:

180 კრედიტი

საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები

15 კრედიტი

არაიურიდიული სავალდებულო სასწავლო კურსები

(აკადემიური წერა, საინფორმაციო ტექნოლოგიები)

10 კრედიტი

სამართლის მიმართულების სავალდებულო კომპონენტები:

155 კრედიტი

მათ შორის:

სავალდებულო სასწავლო კურსები

145 კრედიტი

საბაკალავრო ნაშრომი

10 კრედიტი

არჩევითი კომპონენტები:

60 კრედიტი

სპეციალიზაციის არჩევითი სასწავლო კურსები

მინიმუმ 30 კრედიტი

თავისუფალი სასწავლო კურსები

მაქსიმუმ 30 კრედიტი

შენიშვნა: არჩევითი კომპონენტები მოიცავს სპეციალიზაციის არჩევით სასწავლო კურსებს (სამართლებრივი შინაარსის სასწავლო კურსები) და თავისუფალ სასწავლო კურსებს (არაიურიდიული შინაარსის სასწავლო კურსები). სპეციალიზაციის არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სპეციალიზაციის არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და მათი ლოგიკური თანმიმდევრობა. თავისუფალი სასწავლო კურსები სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.

სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას:

<p>ცოდნა და</p>	<p><u>ბაკალავრმა იცის/ბაკალავრი აცნობიერებს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი, კომპლექსური საკითხები და
------------------------	--

<p>გაცნობიერება</p>	<p>სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის; სამართლის არსის შესახებ ძირითადი თეორიების დახასიათება, სამართლის სოციოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ისტორიული, ფილოსოფიური ასპექტების შეცნობა და სამართლის არსის განმარტება, სოციალურ ნორმათა სისტემაში სამართლებრივი ნორმების ადგილის განსაზღვრა და თანამედროვე საზოგადოებაში სამართლის დანიშნულების გააზრება;</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობის გააზრება; • ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის და/ან საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა; • კურსდამთავრებულმა იცის: განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ქონებრივი სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><u>ბაკალავრს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება; • სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიება, განმარტება და გამოყენება; • იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტი პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის და ა.შ.) შედგენა; • კონკრეტული სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, სამოქმედო გეგმის დასახვა და მის განხორციელებაში მონაწილეობა, შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრულ ეტაპებად სტრუქტურირება, დროის რაციონალურ დაგეგმვა, დახარჯული დროის ანალიზი და მონიტორინგი, სამუშაოს შესრულება დაგეგმილ ვადებში, შესრულებულ სამუშაოზე და მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღება.
<p>დასკვნის</p>	<p><u>ბაკალავრს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის

<p>უნარი</p>	<p>საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთება, აგრეთვე სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლებრივი პრობლემის მაპროვოცირებელი და მასტიმულირებელი ფაქტორების დაფიქსირება და გაანალიზება; • სამართლის სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა მონაცემების შეგროვება, ინფორმაციის მოპოვება, მათი სისტემატიზაცია, განმარტება და გაანალიზება; • სამართლებრივი კონცეფციების ქვეყნის კანონმდებლობაზე და სასამართლო პრაქტიკაზე გავლენის შეფასება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p><u>ბაკალავრს აქვს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • მშობლიურ და უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერიტი ფორმით გადაცემის უნარი; • იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების და ქართულ და უცხოურ ენაზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი; • თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.
<p>სწავლის უნარი</p>	<p><u>ბაკალავრს აქვს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარი; • საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
<p>ღირებულებები</p>	<p><u>ბაკალავრი:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებებს, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით; • აქვს ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეული კომპონენტის მიხედვით:

სასწავლო კურსები:

- სასწავლო კურსების შესწავლისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. თავის მხრივ, შუალედური შეფასება მოიცავს სტუდენტის მიმდინარე შეფასებებს და შუალედურ გამოცდას.
- სასწავლო კურსი მთლიანობაში ფასდება 100 ქულით.
- დასკვნით გამოცდამდე, საგანში სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შუალედური შეფასებების მაქსიმალური ჯამური ქულა 60-ის ტოლია.
- დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა 40 -ის ტოლია.
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედურ შეფასებებში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მიღწევა.
- სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების კომპონენტებია: ლექციაზე დასწრება/აქტივობა, ზეპირი გამოკითხვა, წერითი გამოკითხვა, შუალედური წერითი გამოცდა, ინდივიდუალური საშინაო დავალება, რეფერატის/პროექტის პრეზენტაცია. შუალედური შეფასების თითოეული კომპონენტს გააჩნია თავისი წილი შუალედური შეფასების 60 ქულის ფარგლებში.
- სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს შუალედურ შეფასებებში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ანუ დასკვნით გამოცდამდე დააგროვოს მინიმუმ 21 ქულა.
- შუალედურ შეფასებებში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის (ანუ 21 ქულის) შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე და საგანში მიეცემა შეფასება F-0 ქულა.
- სტუდენტის საბოლოო შეფასების მიზნებისათვის (კრედიტის მინიჭებისთვის) სავალდებულოა დასკვნითი გამოცდის ჩაბარება.
- საბოლოო შეფასების მიზნებისათვის, სასწავლო კურსი გავლილად ითვლება თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე მიიღებს გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილ მინიმალურ 20 ქულას.
- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე მიიღებს 20 ქულაზე დაბალ შეფასებას, მაგრამ მას შუალედურ შეფასებაში დაგროვილი აქვს 41 და მეტი ქულა, სტუდენტს მიეცემა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;

- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე მიიღებს 20 ქულაზე დაბალ შეფასებას, მაგრამ ის შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის შეფასებით აგროვებს 41 ქულას და მეტს, მას მიეცემა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.

შენიშვნა: სასწავლო კურსის შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტები და ფორმები შეიძლება იყოს განსხვავებული სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მოსაზრებიდან გამომდინარე. შეფასების კომპონენტები, ფორმები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

საბაკალავრო ნაშრომი: საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რეცენზენტის შეფასებისა (მაქ. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მაქს 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. ნაშრომი დაცვაზე დაიშვება მინიმალური 21 ქულის დაგროვების შემთხვევაში.

სტუდენტის მიღწევათა/ცოდნის შეფასების ზოგადი წესი:

- შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: A (91-100), B (81-90), C (71-80), D (61-70), E (51-60). მაქსიმალური დადებითი შეფასება - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;
- არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება: FX (41-50) და F (40 და ნაკლები). შეფასება FX (ვერ ჩააბარა) ნიშნავს, რომ სტუდენტს გამოცდის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. შეფასება F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს.
- საბაკალავრო ნაშრომში შეფასების FX (ვერ ჩააბარა) მიღების შემთხვევაში, სტუდენტს შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის განმავლობაში უფლება აქვს ხელმეორედ გავიდეს საჯარო დაცვაზე.
- საბაკალავრო ნაშრომში შეფასების F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ახლიდან ექნება წარმოსადგენი საბაკალავრო ნაშრომი მომდევნო სემესტრში.